

სვალ 17 საათზე: ყოფიანი ოპანესიანის წინააღმდეგ

ჩვენები...

გუშინ დღემის ბაზაზე საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ოფიციალურად დაიწყო შეკრება. სამტრედიიდან დაბრუნებულ ყოფიან ფეხბურთელები შუალდის პირველ საათზე ჰყავდა დაბარებული. მცირედი გასაუბრების შემდეგ მთავარი მწვრთნელი ნაკრების წევრთა თეორიული ცოდნის გაღრმავებას შეუდგა, პრაქტიკული მეცადინეობა კი საღამოს ხუთ საათზე დაიწყო. სავარჯიშოდ 18 მოთამაშე გამოვიდა. ადრე ეროვნულ გუნდში გამოძახებული ლევან ციციანი და ვიორგი კიკნაძე ახალგაზრდულში გადაბარდნენ და გუთავეს ბათუმში გააქვეყნენ. სამაგიეროდ, ივარჯიშეს კახა კალაძემ და ამირან მუჯირმა. მოკლედ, ნაკრები მთლიანად შეიკრიბა, ოდენ ავეკელი თემურ ქეცბაია არ ჩამოსულა — მას 27 მარტს საბერძნეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში „არისის“ წინააღმდეგ უთამაშია, მერე მოსკოვის ჩაფრენილა და ნაკრებს დღეს დილით შეურთდება. ეროვნულმა გუნდმა ყოფიანის თავკაცობით ორი საათი ივარჯიშა. პოლოს, ორკარას თამაშის შემდეგ, ყოფიანმა მცველები ძოძუაშვილს ჩააბარა და მიხინაძე ისინი ერთობ დატვირთა. ვარჯიში რომ მოეწა, წინა ხაზის მოთამაშენი მინდორზე დარჩნენ და კარში ჩამდგარი ტოვონიძე დასეტყვეს. მალე ბიჭებმა საშხაპეს მიაშურეს, მერე ივანშემეს და მთავარ მწვრთნელთან შეიკრიბნენ. რაზე ესაუბრა მათ ყოფიანი, ვერ მოგახსენებთ. ნაკრების ექიმ-მასაჟისტთა თქმით, ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და თავს კარგად გრძობს.

ისინი...

გუშინ საღამოს სომხეთის ფეხბურთის ფედერაციას დაეუკავშირდით და შევეტყვეთ, რომ დღეს, თბილისის დროით 12 საათზე ჩარტერული რეისით „ზვარტნოცის“ აეროპორტიდან გამოფრინდება იაკ-40-ის ტიპის თვითმფრინავი, რომელიც სომხეთის ოცდაათკაციან დელეგაციას ჩამოიყვანს. მათ შორის 18 ფეხბურთელია. მკარეები: არმენ ავაქიანი (პიუნიკი) და ვარნიკ ოგანესიანი (ცემენტი); მცველები: ერვანდ სუკიასიანი („კავალა“, საბერძნეთი), სარქის ოსეპიანი, ვარდან ხაჩატრიანი, არამის ტუნიანი (პიუნიკი), არუთინ ვარდანიანი (შირაქი) და ტიგრან გესპიანი (არარატი); ნახევარმცველები: მიშელ ტერ-ზაქარიანი („მონპელიე“, საფრანგეთი), ჰამლეტ მხითარანი, ვარდან მანასიანი (პიუნიკი), აკოფ ტერ-პეტროსიანი (არარატი), არტურ პეტროსიანი (შირაქი) და ვალიკ მანუკიანი (ერევანი); თავდამსხმელები: არსენ და ვარაზდათ ავეტისიანი (პიუნიკი), ტიგრან ესაიანი (ერევანი) და ერიკ ასადურიანი („გინგამი“, საფრანგეთი). შეკრებას გამოაკლდა ზენიტელი მკარე რომან ბერეზოვსკი, თუმცა, სომხურ ფედერაციასთან საუბრის დროს ვერ კიდევ არ იყო ვარკვეული ზოგი ზემოხსენებული ლეგიონერის ჩამოსვლის საკითხი. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ თბილისში არ ითამაშებენ სოფის ცეცსკაში მოასპარეზე რაზმიკ გრიგორიანი, კრილიანოვეტოველი ვარნიკ ავალიანი და კორეის „ოუკონგი“ მოთამაშე კარაპეტ მიქაელიანი, რომელმაც შარშან გერმანიის ნაკრებს ვოლი შეუდგო. სომხებს არც „შირაქის“ 24 წლის თავდამსხმელი არა ადამიანი ვეყოლებათ.

იტალიელები დიდების სასამართლს გადამწყვეტილებას აღარ ელოდებიან

გუშინწინ თბილისის მუნიციპალიტეტის სხდომაზე ოფიციალურად დამტკიცდა საქცილი საზოგადოება „თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის“ შექმნა. საკონტროლო პაკეტის მფლობელი ქალაქის მერია იქნება, ხოლო ყოფილი საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წილს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“, საფეხბურთო კლუბი „დინამო“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაესაკუთრებიან. ახლა ამ გადაწყვეტილებამ რეგისტრაცია დიდების რაიონის სასამართლოში უნდა გაიაროს, თუმცა ეს ფორმალური მხარე ალბათ ვეღარ დააბრკოლებს იტალიელებს, რომლებიც 2 აპრილს თბილისში საბოლოო მოლაპარაკების გასამართად ჩამოდიან.



ბალნი კაითილაპის ფოტო

სამართალის
ნაპირნაბი
19
ტური

გორდა 0:1 მერანი
ივერია 0:0 სამგურალი
სიონი 1:0 ოდიში
დილა 2:1 ოსუ
ტორბედო 3:0 გურია
სამტრედიი 0:2 დინამო
კოლხეთი 7:0 მარგვეთი
კახეთი 1:1 ბათუმი

დინამო	17	14	2	1	63:14	44
ბათუმი	19	13	5	1	50:11	44
კოლხეთი	19	13	2	4	46:21	41
მერანი	19	11	4	4	31:18	37
ტორბედო	19	9	2	8	45:38	29
მარგვეთი	18	9	1	8	27:36	28
ოდიში	18	8	1	9	30:23	25
გურია	19	7	3	9	20:37	24
დილა	18	6	6	6	17:22	24
სამტრედიი	19	7	1	11	21:36	22
ოსუ	19	4	8	7	20:25	20
სამგურალი	18	5	3	10	18:35	18
გორდა	19	5	2	12	26:40	17
სიონი	18	4	4	10	12:22	16
ივერია	18	3	5	10	13:32	14
კახეთი	19	5	1	13	11:40	11

გუშინწინ სამტრედიიში: „სამტრედიი“ — „დინამო“
რამდენიმე წამში ვიორგი ანაბაძე ანგარიშს გახსნის.

„ბათუმს“ ჩემპიონობა არ უწყვიტა! XIX ტურის მატჩების რეზილტატები ისხლით 2-3 გვერდზე

ჰოდლა თრიაქის მხაველ სულიბანს უხეო, პერუსის კი „ნითელა უეუარა“

რა ენაღვლებათ — იციან, იტალიელები რომ არიან, მათი დღევანდელი მეტოქე კი მხოლოდდაშოლოდ მოღღოვა. ამიტომაც ხუმრობენ.

ეს ამბავი ფლორენციაში, „სკუადრა აბურას“ საწვრთნელ ბანაკში მოხდა. „ფლორენტინას“ მკარე ფრანჩესკო ტოლოი იუვენტუსულ კოლეგასა და ოთახის მეზობელ ანჯელო პერუსის განარიდეს, რადგან მისივე თქმით, თურმე წუ იტყვიდა, „ფლორენტინას“ გუნდს წითელი დარეგია. პოდა, ემანდ ინფექციის მატარებელი არ იყოსო, ტოლოის სასწრაფოდ გამოუნახეს უმეზობლო ოთახი. არადა, ის ამტკიცებდა, ჩვენთან წითელი რამდენიმე კაცს სჭირს, მათ რიცხვში არ გენტიწენლ ვარსკვლავს გაბრიელ პატი-სტუტასკო. აფორიაქებული იტალიელები ტოლოის დღამ დაამშვიდა — ფრანჩესკოს ეგ სახადი ხუთი წლისას ჰქონდა, სანერეული არაფერი გაქვითო. მაგრამ სანამ სინორა ტოლოი ბნელს გაანათებდა, ოინი პერუსი მოაწყო. დილით „იუვენტუსის“ ვოლკაბერი წითელი ლაქებით დაფენილი სახით გამოეცხადა თანაგუნდელებს. ატყდა განგამი, საქმეში ექიმები ჩაერივნენ და... წითელი მელანი სახეს იოღად მოშორდა.

— ანჯელო მეც მთავაზობდა სახის შეფერადებას, მაგრამ უარი ეუთხარი, ეგ ხომ ვიყთა — აღიარა ტოლოი.

ეს რაც შეეხებოდა ხუმრობას. სერიოზულ საქითებზე კი ჩეზარე მადლინიმ ისაუბრა. მოგესხენებათ, იტალიელებს ფორეარები — პიერლუიჯი კაზირაგი და ფაბრიციო რავანელი დაშვეული ჰყავთ, ამიტომ მწვრთნელს მათი შემცველების შერჩევა უწყევს.

— კრისტინ ვერი ის ფეხბურთელია, რომელიც ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით ტრამირებულ ღუეტს არ ჩამოუვარდება, ასე რომ, შეგიძლიათ ახლავე თქვათ, მოღღოვასთან იგი ითამაშებს — განაცხადა მადლინი.

ამრიგად, დაფარული არაფერია, დღეს ტრევისტში ჯანფრანკო ძოლას მეწვეილე „იუვენტუსის“ 23 წლის თავდამსხმელი კრისტინ ვერი იქნება.

მოღღოვა კი ტრევისტს ასეთი შემადგენლობით ჩაეიდა: მკარეები: დენის რომანენკო (ზიმბრუ), ევენი ივანოვი (ტილიგული); მცველები: ვასილი ტოლოკონიკოვი (ზიმბრუ), სერგეი სეკუ (ტილიგული), ოლეგ ფისტიკანი (ზიმბრუ), იონ ტესტიმბიცი (ზიმბრუ), ვიტალი კულიბაბა (ზიმბრუ); ნახევარმცველები: ოლეგ სისკანი (კონსტრუქტორული), ვლადიმერ გაილამასკოვი (ტილიგული), სერგეი ეპურიანუ (ზიმბრუ), ალექსანდრ პოპოვიჩი (ტილიგული), ბორის ჩიბოტარუ (ზიმბრუ), რადუ რებეცა (ზიმბრუ), მარინ სპინუ (ზიმბრუ), ალექსანდრ კორტიანუ (ვიძევი, პოლონეთი); თავდამსხმელები: სერგეი ვლადენკო (გოუ ეპელი, პოლონეთი), იური მიტერევი (ზიმბრუ), ალექსანდრ სუხარევი (ზიმბრუ), სერგეი როვანოვი (ოლიმპია).

მოღღოვას რომ მოითავებენ იტალიელები, პოლონეთის გაემზავრებიან, სადაც 2 აპრილს მორიგ შეხვედრას გამართავენ. ანტონინ პეხნიჩევი „სკუადრა აბურას“ დახვედრებს — მკარეებს: ანჯევი ვოზნიაკს (პორტუ პორტუგალია), გრეგოვ შამოტულსკის (ლეგია), არკადიუმ ონიშკოს (ლეხი); მცველებს: პაველ ვოიტალას (ჰამბურგი, გერმანია), ტომას ვალდოხს (ბოხუმი, გერმანია), იაცეკ ზელინსკის (ლეგია), ტომას პი-

ტოს (გურნიკი), პაველ სკრეპიკეს (ლეგია), რადოსლავ კალუჟინს (ზაგლები), მარეკ იუვეიკას (ვიგამი, საფრანგეთი), ადამ ლეღონს (გეს); ნახევარმცველებს: პიოტრ ნოვაკს (მიუნხენ 1860, გერმანია), ვოლდემარ კრივკის (ლეხი), ტომას სოკოლოვსკის (ლეგია), სლავომირ მაიაკს (ვიძევი), პიოტრ სეიერჩეკსკის (ბასტია, საფრანგეთი), მარიუმ კუკიელკას (ბელგატივი); თავდამსხმელებს: ევზარ გულარსკის (ლეგია), მარეკ ჩიტკოს (ვიძევი), პენრიკ ბალუშინსკის (ბოხუმი, გერმანია), კრშიშტოფ ვარეიხას (მანათინაკოსი, საბერძნეთი), ვოიცეხ კოვალჩიკს (ბეტისი, ესპანეთი) და ანჯევი იუსკოვიკას (მიონხენგლადბახი, გერმანია).

ჩვენი შესარჩევი ვაგუფის კიდევ ერთი გუნდი, ინგლისის ნაკრები კი დღეს „უემბლიზე“ მექსიკელებთან ამხანაგო შეხვედრას მართავს. ადრეც ვუწერდით, რომ გლენ პოლდს გვემბედა აერია. ტრავმათა ბოლო ვერ თამაშობს წამყვან ფეხბურთელს, ნაცვლად ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებისა, ახალი ფეხბურთელებს განსინჯვა მოუწევს. ერთ-ერთი მათგანია პოლო წამს გამოძახებული „ლიდისი“ 21 წლის ხულიგანი ნახევარმცველი ლი ბოიერი. მიუხედავად ასაკისა, ამ ახალწვეულს ბევრი უმშავსოების ჩაღწა მოუწევია. კერძოდ, იგი ბავშვობაშივე გამოიჭირა ნარკოტიკის მოწვევაზე შემდეგ კი ბისტროში ჩხუბისთვის იყო დასჯილი. ბოიერის საფეხბურთო ნიჭი უდავოა, მისი ხასიათი კი სადავო, მაგრამ პოლდო, მოგესხენებათ, ჩხუბისთავებს წვალობს.

ბაპუნა კაღინა

დილა 2:1 თსუ
 გორი. ცენტრალური სტადიონი
 დილა: ვოლოკოვი, ფეხბურთელი, რ. ხა-
 ქაბურთაძე, გ. გიგინეიძე, თორნიკეშვილი,
 გ. გიგინეიძე, მარცხენაშვილი, მგელიშვილი,
 რევაზიშვილი (ტაბატაძე 87), ფხალიძე
 (გ. გვახაია 46), ხორვათაშვილი (ჯა-
 ლაბაძე 69)
 თსუ: ბათიაშვილი, სულთანოვი, გაგუა,
 კობიაშვილი, გორგიჯანიძე, კან-
 კაია, ნ. მინდიაშვილი, კობიაშვილი,
 ზ. გვახაია (თელიაშვილი 53), ჩიგო-
 შვილი, როსტომიშვილი
 1:0 მარცხენაშვილი (46), 1:1 ჩიგოშვილი
 (58), 2:1 გ. გიგინეიძე (77 მ)
 მანქანის მძღველი: გ. გიგინეიძე, რევიშ-
 ვილი
 მსაჯე: მ. დოგრაშვილი (ჭუთაიხი)

პსნიკი ზანაზანაძე გორიდან

გორში მატჩი ჩაიმთავრა, ქა-
 ლაქის მერი, აწ უკვე გუნდის
 პრეზიდენტი დაეით ქობლანიძე
 რომ არა, რომელიც თამაშის და-
 რწმუნებულ ნახევარს საათით აღ-
 გუბნებდა ესტუმრა გაფიცულ
 ფეხბურთელებს. ქალაქის თა-
 ვაკის მცველებმა არ დაუკლია,
 გუნდში სიტუაცია რომ გუ-
 უმჯობესდებოდა, როგორც შევი-
 ტყვეთ, მას კლუბის რეორგანი-
 ზაცია წამოუწყა და მისი სააქ-
 ციო საზოგადოებად გარდაქმნა
 განუხრახავს, ასე რომ, სულ მა-
 ლე გორის საფეხბურთო ცხოვ-
 რებაში სასიკეთო ძვრები მო-
 სალოდნელი.

ვერ გეტყვით, წინასამატჩო
 უნაყოფო განწყობილებამ იმოქმე-
 და თუ სხვა რამე, მაგრამ თამა-
 შში ძალზე დუნად დაიწყო. დასა-
 წყისში ვერცერთმა გუნდმა ვერ
 შეძლო საკუთარი თამაშის მო-
 ვაზა და უპირატესობის მოპო-
 ვება. 25-ე წუთამდე მატჩი მე-
 ტად უსახური იყო. მხოლოდ მე-
 15 წუთზე გამოაცოცხლა გორე-
 ლმა გიორგი რევაზიშვილმა მა-
 წყენილი და დასრულებული მაყუ-
 რებელი — თითქმის მოედნის ცე-
 ნტრიდან შეკარის საჯარიმოდ
 ბრწყინვალედ მისულს კარში და-
 რტყმა დაუკვირანდა, უხერხული
 მდგომარეობიდან დარტყმული კი
 საკმარის მანძილზე ასცდა თბილი-
 სელთა კარს.
 25-ე წუთიდან მასპინძლებმა

ტორპედო 3:0 ბურია

ქუთაისი სტადიონი „კვიციანი“
 ტორპედო: კიკელიძე, ხვადაიძე-
 ნი, თორნიკეშვილი, მ. ხუჯაძე, მ. ლომიძე,
 ლომიძე, მარცხენაშვილი (გორგიჯანიძე
 86), კვეციანიძე (ა. ხუჯაძე 84), ქუბა-
 ძე, მ. მგელიშვილი, აბუთაია, ვანიშვილი
 (გ. მგელიშვილი 65)
 ბურია: ბაბიაშვილი, ლურჯაია, ვ. ხო-
 დინიძე, ქიქოძე, ხეტიაშვილი (ლ. ფო-
 ლადია 90), თ. გომიანიშვილი, ვინა-
 ლიძე, ყანაშვილი, გვიანიძე, გელაძე,
 პატარაია
 1:0 მ. მგელიშვილი (36), 2:0 აბუთაია (59),
 3:0 მ. მგელიშვილი (82)
 მსაჯე: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

იუსა ანტიტაძე ქუთაისიდან

ამბობენ, ევროტურნირების რო-
 მელით თასზე „ტორპედოს“ გა-
 სვლის შემთხვევაში ქუთაისის
 სტადიონის დიდი რეკონსტრუქ-
 ცია ელისო. ჯერჯერობით კი ქა-
 ლაქის მთავარ არენას მხოლოდ
 სახელი შეუცვალეს და ამერიკიდან
 იგი 20-30-იანი წლების ცნობი-
 ლი ქუთაისელი სპორტმენის გი-
 ვი ქუთაისის სახელობისა იქნება.

ახლა თავად მატჩის შესახებ.
 პირველი ოც წუთში სტუმარ-მა-
 სპინძლის გარეშე შეუძლებელი
 იყო. ლანჩხუთელები ერთობ ორ-
 განიზებულად ირეგობდნენ, და-
 ცვაშიც ყურადღებით იყვნენ და,
 როგორც კი შესაძლებლობა მი-
 ეცემოდათ, ბურთს წინ — გე-
 ლადის ან პატარაის მისამართით
 გზავნიდნენ, თუმცა, ქუთაისელი
 მცველები ფეხბურთელებს და მა-
 თას არაფერი გამოსდიოდნენ. მა-
 სპინძელთა ერთგვრობა თამა-
 შში განტანვ ზედადგინება დას-
 რულა: 23-ე წუთზე ქუთაისელი
 მცველი წინ გაიჭრა და 30 მეტ-
 რიდან კარში მძლავრად დაარტყა.
 გურულების ბედად, ბურთმა ხა-
 რიხას გადაუჭროლა. ამის შემდეგ
 სულ სხვაგვარი ბრძოლა გაჩა-
 ლდა. „ტორპედომ“ ტემპს უმატა,
 მცირე ტერიტორიული უპირატე-
 სობა არ იკმარა და თანდათან
 აშკარა სათამაშო უპირატესობაც

სულზე მიუსწრო

ტემპს უმატეს და სათამაშო უპი-
 რატესობაც ხელთ იგდეს. გან-
 საკუთრებით გორელთა მარჯვე-
 ნა ფრთა აქტიურობდა — ფე-
 ხურთაშვილი და რევაზიშვილი გა-
 ნუწყვეტლად აწივებდნენ თბი-
 ლისელთა დაცვას. თუმცა, დარ-
 ჩენილ დროში ორივე გუნდს მხო-
 ლოდ თითოჯერ ჰქონდა კარის
 ალების შესაძლებლობა. ვერ გო-
 რელმა ზედად ხორვათაშვილი შე-
 აზანზარა თავური დარტყმით თბი-
 ლისელთა კარის ძეღი. ათი ოცე
 წუთში თითქმის პირისპირ დარ-
 ჩენილ მინდიაშვილთან იმარჯვა
 გორელთა მეკარე ვოლოკოვიძე.

ის-ის იყო, მეორე ნახევარი და-
 იწყო, რომ გორელთა დებიუტა-
 ნტის გიორგი გვახაიას აქტიუ-
 რობამ გამოიღო ნაყოფი: თავისი
 მანქანიდან მან მთელი ყურადღე-
 ზა მიიპყრო და თბილისელთა კარ-
 თან უმთავრესად დატყვე-
 ბული მარცხენაშვილის ანგარიშს გა-
 ხსნა არ გასჭირვებია.

გატანობა გოლმა მასპინძლე-
 ბი ოდნავ მოადუნა, რამაც სტუ-
 მრებს უპირატესობის მოპოვების
 საშუალება მისცა, მათი შეტევე-
 ბი უფრო მწვევე და სახიფათო
 გახდა. შედეგად არ დაყოვნა
 — 68-ე წუთზე როსტომიშვილმა
 გორელთა მცველები საპარო-
 ბრძოლაში დაჯანა, რითაც უძელ
 ისარგებლა იქვე მდგომმა ჩიგო-
 შვილმა და კარის შორეულ კუ-
 თხეში ძლიერი დარტყმით ანგა-
 რიში გაათანაბრა.

გაშვებულმა გოლმა ახლა უკვე
 მასპინძლები გამოაფხიზლა, სტუ-
 მრებიც მედგრად დაუხდნენ და
 გრძობდა ბურთობა, რითაც და-
 მთავრების შემდეგაც მაყურებე-
 ლი მეტად ემაყოფილი და განა-
 რებული ტოვებს სტადიონს. მით
 უფრო, რომ, თანაბარი ბრძოლის
 მოუხედავად, 77-ე წუთზე ვა-
 მულ გავნიძის მიერ გატანილი
 თერთმეტმეტრიანის წყალობით
 გამარჯვება გორელებმა იხვიეს.

ბურულმა ბურულს მოუბო

ივლო ხელთ. 26-ე წუთზე ქუბა-
 ძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზი-
 ციაში, მაგრამ ბურთი აეჭრა. ერთ
 წუთში კი მარცხენაშვილი-აშვეთია-
 კვეციანიძის კომბინაცია კვეცი-
 ნაძემ მასველი კუთხიდან და-
 რტყმით დაასრულა, აქ კი ბაბა-
 შვილმა იყოჩაღა. 33-ე წუთზე მარ-
 ცხენაშვილის წამოწყებული კომ-
 ბინაცია მერამ მეგრელებს გაა-
 გრძელა და კარგად გადასცა აშ-
 ვეთიას, რომელიც ახლოდან და-
 რტყმას შეეცადა, მაგრამ ბურთი
 ვერ მოირგო. ტრიბუნებზე მრავ-
 ლად შეკრებილ და „ტორპედო-
 სგან“ გოლის მომლოდინე გულ-
 შემატკივრებს მალე აუსრულდათ
 სურვილი: 36-ე წუთზე მოიერი-
 შე მალე ხუჯაძეს მარცხნივ გა-
 ჩიბერაძე ესწებოდა, მარჯვნივ
 კი აშვეთია. ხუჯაძემ მარჯვნივ
 გადაწოდა ამჯობინა, აშვეთია-
 ამავე არ დაყოვნა და დაარტყა
 ბაბაშვილმა დარტყმული კი მო-
 იგერია, მაგრამ ბურთს კართან
 ჩასაფრებულ მერამ მეგრელებს
 დახვდა და ანგარიშიც გახსნა.

მეორე ტაიმშიც ასე გაგრძე-
 ლდა — მასპინძლები უტყველდნენ,
 სტუმრები კი შეძლებისდაგვარად
 თავს იცავდნენ, მაგრამ დიდი ან-
 გარიშით მარცხს მაინც ვერ გა-
 დაურჩნენ. ჯერ იყო და, სიღამო-
 ნიძემ უხერხოდ გამოიტანა ბურ-
 თი, იგი აშვეთიას მიუვიდა, რო-
 მელმაც მარცხენა მალად კუთ-
 ხეში მოათავსა. მესამე გოლი მას
 შემდეგ გავიდა, რაც ქუბაძემ ზუ-
 სტი პასით აშვეთია გაიყვანა გა-
 რევევაზე, საჯარიმოში შეჭრილ
 აშვეთიასგან ყველა კარში და-
 რტყმას მოელოდა, მაგრამ მან
 უფროს მეგრელებს გადაწოდა.

კახეთი XI ბათუში

მადარეული ცენტრალური სტადიონი
 მახათაძე: ისლანაძე, ე. ალაღაშვილი, ნი-
 კლაური, ტარულაშვილი, ბოჭორიშ-
 ვილი, ჯიკაძე, ფოფხაძე (ნაკუდაი-
 ძე 77), ტოკლივიშვილი, შონია, მა-
 ხანაშვილი (ჯამიაშვილი 46), ლეონ-
 აშვილი (მესხიძე 77)
 ბათუში: ტოკლივიშვილი, ი. მახარაძე, მინ-
 დაძე, სიხინავა, შვილაძე, თორნიკე-
 შვილი, მ. მახარაძე, ლლონტი, ტულუ-
 ში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი
 1:0 ლეონაშვილი (15), 1:1 სიხინავა (53)
 მანქანის მძღველი: შვილაძე, ი. მახარაძე,
 მესხიძე, ნიკლაური
 მსაჯე: გ. აბაგორელი (ქარელი)

მირაზ მარულაშვილი ნაფარულიდან

მეორე წრის წინ თელაველები
 ჩემპიონატისთვის მალთაყვა-
 ში ემზადებოდნენ. ამ პერიოდში
 „კახეთის“ მთავარ მწვრთნელს
 ჯონი ჯანელიძეს ორჯერ ჰქო-
 ნდა სამუალები „კოლხეთთან“ ბა-
 თუმელთა სათასო შეხვედრი-
 სთვის თელავური ელემენტისა.
 როგორც ჩანს, მან კარგად შეი-
 სწავლა ბათუმელთა თამაში და
 მათ წინააღმდეგ სწორი ტაქტი-
 კაც შეარჩია — ხისტად და აქ-
 ტურად მოთამაშე თელაველები
 ბათუმელებს სათამაშო სივრცე
 შეუზღუდეს, ფაქტობრივად, ფე-
 ხზე „აჯღენენ“, ბურთს არ აყო-
 ნდნენ და შეტევას სწრაფად,
 ბურთთან ერთი შეხებით
 იწყებდნენ.

გასათვალისწინებელია ერთი
 გარემოება — მეტოქეებს გან-
 სხვავებული, სრულიად საპირი-
 სპირო მდგომარეობა ეჭირათ სა-
 ტურნორო ცხრილში: „ბათუმი“
 ამ ტურამდე ლიდერი იყო, „კა-
 ხეთი“ კი ბოლო, მე-16 ადგილზე
 იმყოფებოდა, რაც თავისთავად
 ზრდიდა მატჩის მნიშვნელობას.

ახლა უშუალოდ შეხვედრასზე
 — მასპინძლებმა პირველივე წუ-
 თებიდან შეუტეეს, სხვა გამოსა-
 ვალი არც ჰქონდათ, მათ ჰაერი-
 ვით სჭირდებოდათ თითოეული ქუ-
 ლა. ბათუმელები თავიდან ნაკე-
 ლებად აქტიურობდნენ, თელავე-
 ლები კი მშვენივრად ირეგობ-
 ნდნენ და ფლანგებსაც ხშირად,
 მეტად ეფექტურად იყენებდნენ.
 განსაკუთრებით მარცხენაფლან-
 გელი ლეონაშვილი გამოირჩეო-
 და. ეგაა, თანაგუნდელებს უპო-
 რად მისი მშვენიერი ვარდევ-
 ევის ხეირიანად დასრულება. ბა-
 თუმელებს თანდათან გამოცო-
 ცხლდნენ და მწვევე კონტრმე-
 ტეებზე განახორციელებს. ლლო-
 ნტის ცენტრში ჩაწოდებული ტუ-
 ლუშმა მშვენივრად დაამუშავა, მა-
 გრამ არაზუსტად დაარტყა. მე-
 14 წუთზე კი „კახეთი“ გოლს
 გადაურჩა და ამას წიკლაურს
 უნდა უმალოდეს, რომელმაც მშ-
 ვენივრად აართვა ბურთი ფეხ-
 დან მეკარესთან ახლო მყოფ მუ-
 ჯირს. ამ პერიოდისთვის „ბათუ-

კახეთმა ლიდერი დაამუხრუჭა

მა“ მდგომარეობა გამოასწორა,
 იხე ათამაშდა, როგორც ლიდერს
 შეშვენივრდა და სწორედ ამ დროს
 გოლი გაუშვა: ლეონაშვილმა ბა-
 თუმელთა მცველებს ცენტრალურ
 ზონაში დაშვებული შეცდომა არ
 აპატია. მათ ბურთი სახიფათო
 ზოლიდან ვერ გამოიტანეს, რი-
 თაც უმაღლესად მასპინძე-
 ლთა თავდამსხმელმა, ახლოდან
 სტუმრებს დაასწრო და ანგარი-
 შიც გახსნა.

ბუნებრივია, ბათუმელები მარ-
 ცხს ვერ შეეგუებოდნენ, მაგრამ
 პირველ ტაიმში ვერ იხერხეს.
 ის კი არა, შონიას ბრწყინვალე
 ფლანგური გარღვევის შემდეგ
 კინაღამ მეორე გოლიც გაუშვეს
 — მცველები კვლავ შეცდნენ, მა-
 გრამ საბოლოო დარტყმა ზუსტი
 არ გამოდგა.

მეორე ტაიმში ვითარება შეი-
 ცვალა, სტუმრები მეტად გააქ-
 ტიურობდნენ, რამდენიმე სახიფათო
 შეტევაც განახორციელეს, მალე
 კი ანგარიშიც გაქვითეს: 53-ე წუ-
 თზე მუჯირმა, ბოჭორიშვილი
 რომ მოატყუა მარცხნივ და სა-
 ჯარიმოში ჩააწოდა, სადაც უჯ-
 მაჯურიძემ ბურთი თავით სიჭი-
 ნავას დაუგდო. ბათუმელთა საყ-
 რდნი ნახევარმცველის დარტყმა
 კი შედეგადად აღმოჩნდა. ლიდერ-
 სობის შესანარჩუნებლად ბათუ-
 მელები თავს არ ზოგავდნენ, მა-
 გრამ შედეგი არ ჩანდა, მიუხე-
 დავად იმისა, რომ ახლანდის კარ-
 თთან რამდენჯერმე ხიფათი შე-
 იქნა.

თამაშის ბოლოს ჯანელიძემ
 სწორი გადაწყვეტილება მიიღო
 — მოედანზე მესხიძე და ნაკუ-
 რდიძე გამოიყვანა, რომლებმაც გა-
 დალილი თელაველების თამა-
 შში გამოაცივებულეს. ამის შემდეგ
 „კახეთმა“ რამდენჯერმე მწვევე
 შეუტია. 86-ე წუთზე კი ტოკო-
 ნიძის კარი კვლავ გადაურჩა
 გოლს: ტოკლივიშვილმა მარჯ-
 ვენა ფლანგი უსწრაფესად გა-
 დასწრა და საჯარიმოში შეკარე-
 სთან ახლოს მყოფი ნაკუდაიძე
 შენიშნა, მაგრამ თელაველმა ვერ
 იხერხა.

ასე დასრულდა შეხვედრა, რო-
 მლის შედეგად ბათუმელებს მე-
 ტად დაწვევით გული. თელავე-
 ლებზე კი ის ითქმის, რომ ასე-
 თი გუნდის ვაჟუფიდან გაგარდნა
 ნამდვილად დასანანი იქნება. ვა-
 ნელიძემ ხომ უსახსრობით შე-
 ჭირებულ, სულიერად გატეხი-
 ლი და დაშლის პირას მისული
 „კახეთი“ გუნდს დაამსგავსა. აქი
 ჯანელიძის ბიჭების სუსხი ჩემ-
 პიონატის ლიდერმა საკუთარ თავ-
 ზე იქნია.

სტუდენტები გამორცდებიან პერიოდში ბერმანიაში

თბილისის სახელმწიფო უნი-
 ვერსიტეტის გუნდის ცენტრალურ
 მცველი დიმა ვერემუქი სე-
 ზონთში მონაწილეობაში აპირებ-
 და გასასინჯავ წასვლას. რიგის
 „სკონტოში“ მისი გადასვლა დრო-
 ებით გადაიდო, როგორც აღმოჩ-
 ნდა უკეთესი ვარიანტის ძიების
 გამო. იგი ამ დღეებში ვერმანიის
 „კაიზერსლაუტერნიში“ ისინჯება
 და იქ ერთ კვირას დასაყოფს. რო-
 გორც გუნდის ხელმძღვანელებმა
 გეგმობენ, ვერემუქი სეზონის
 თსუში ჩამათავრებს და მისი ვერ-
 მანიაში დარჩენა-არდარჩენის სა-
 კითხი თამაშს შემდეგ გადაწყვეტა.



ჩუხუა კვიროსუი

თავდამსხმელი ჯუბა ჩუხუა
 თსუს პირველი წრის შუაწელში
 შეუერთდა. იმთავითვე ითქვა,
 მამინდელი „შეგარდნა“ ჩუხუ-
 ასთვის მორიგი გაჩერება ვახ-
 ლავითო. ჩუხუა კარგახანს შერა-
 თბილისურ კლუბს და დიდადაც
 დაეხმარა, თუმცა თავისი მიზანი
 გულიდან არ ამოუღია და ახლა-
 ნობა, მაგრამ არაფიციცალური
 წყაროს ცნობით, მისი სასურველი
 კლუბი მეორე ლიგისა გახლავთ.



ფიფიბაკი იმპრია

ივერიელი ჰამლეტ წიფიფიბაკი
 მეორე წრის წინ ბარე ხუთ
 გუნდს რომ უნდოდა, აერეც გა-
 ცნობით, ხაშურის „კვირიაშვი-
 ლარს“. ბლოხანს ისევე ალაპა-
 რაკდნენ, ხაშურელთა ცენტრფორ-
 ვარდი ჰამლეტ წიფიფიბაკი გერ-
 მანიას ვერემუქთან ერთად
 უნდა გაემგზავროს, მაგრამ მე-
 ზაფერობის თანხის — 700 ლო-
 ლარის უქონლობის გამო, რომე-
 ლიც მას მენეჯერმა მოულოდნე-
 ლად მოსთხოვა, ჰამლეტი „კვი-
 რაში“ დარჩა, რომელიც გაეარ-
 დნას უნდა გადაარჩინოს.



მეორე კვარუში

ალმოსავლეთი XXV ტური	დასავლეთი XX ტური
მორკინალი — დინამო 2:0	ბათუმი 2 — მეხატე 3:1, ეგ- რისი — კახაბერი 3:1, სალხინო — სულერი 2:1, ტორაპელო 2 — მამისონი 3:0, საპოვნელი — იმე- რეთი 3:0, სამეგრელო — ოდიში 2:2, სქური — კოლხეთი 2:0, ოლიშპია — მადაროელი 0:1
ლოკომოტივი — მორკინალი 0:0,	
35 სტუ — დინამო 2:0, თსუ 2 — ლურჯული 2:0, არმაზი — კოდაკო 1:3, ავაზა — იბერია 0:1, შსს აკა- დემია — მრეტები 3:1, ასკ — ცხი- ნვალი 2:0, სამგორი — თორი 0:1, ყინური — შირაქი 0:3, მესხეთი — გაბუკიანი 3:0 („ჭაბუკიანი“ არ გამოცხადდა)	
ლოკომოტივი 23 19 4 0 56:6 61	
მორკინალი 24 19 4 1 57:8 61	
ასკ 23 16 1 6 46:28 49	
დინამო 2 24 14 5 4 75:20 47	
ცხინვალი 22 15 0 7 41:24 45	
შსს აკადემია 23 13 4 6 57:24 43	
კოდაკო 23 13 3 7 34:29 42	
მამისონი 23 12 2 9 52:39 38	
შირაქი 23 10 8 5 32:27 38	
იბერია 23 11 1 11 33:31 34	
თორი 23 9 3 11 20:41 30	
35 სტუ 23 7 8 8 39:34 29	
თსუ 2 22 8 113 25:44 25	
მრეტები 23 5 7 11 28:38 22	
სამგორი 23 6 3 14 28:51 16	
ყინური 23 6 3 14 33:75 16	
მესხეთი 23 4 2 17 24:60 14	
ლურჯული 23 3 4 16 15:63 13	
ჭაბუკიანი 23 2 6 14 17:37 12	
ავაზა 23 2 3 18 16:48 9	

მალაროელი 18 17 0 1 58:15 51
მეხატე 18 15 1 2 39:15 46
მერცხალი 18 14 1 3 48:19 43
იმერეთი 19 10 2 7 39:29 32
ოლიშპია 19 10 1 8 31:34 31
საპოვნელი 19 8 6 5 37:30 30
სალხინო 19 9 2 8 31:28 29
კოლხეთი 19 10 2 7 33:15 27
სამეგრელო 19 7 5 7 36:35 26
სქური 19 6 4 9 25:28 22
სულერი 19 6 4 9 22:29 22
ტორაპელო 2 19 5 3 11 19:43 18
მამისონი 17 4 3 10 27:43 15
ეგრისი 18 5 5 8 21:28 15
ბათუმი 2 18 4 3 11 18:32 15
კახაბერი 19 3 3 13 21:59 12
ოდიში 2 19 1 3 15 9:32 6

წინა ტურში ხონის „იმერეთს“
 მსაჯები ვერ გაუსტუმრებია, რის
 გამოც „სამეგრელოსთან“ 0:3 წა-
 გება ჩათვლია და არა პირიქით,
 „სულერი“ — „ტორაპელო 2“ კი
 2:0 მორჩენილა და არა 4:1

ნავსი ღორღზე ბატყდა

„სუბარუმ“ ველარ მოდელზე შედიხედ მეოთხე რალიც, თუმცა გუნდურ ჩემპიონატს მაინც ლიდერობს.

მსოფლიო პირველობის IV რალი

პორტუგალია

23-26 მარტი. ფიგერა-და-ფოში — პოკუა-დი-ვარზინი — ვიზუ — ფიგერა-და-ფოში

1. თომი მაკინენი და სეპო პარიანი (ფინეთი, მიტუბი-ლანსერი) 4 საათი 53 წუთი. 01 წამი; 2. ფრედო ლუა და სვენ სმეტსი (ბელგია; ტრიოტა-სელიკა) ჩამორჩნენ 4.05-ით; 3. არმინ შვარცი (გერმანია) და დენი უორდ (საფრანგეთი) (ფორდ-ესკორტი) 6.33; 4. გრეგორ დევესი (ბელგია; ფორდ-ესკორტი) 12.28; 5. უან-პიერ რიმელი (მონაკო) (ფორდ-ესკორტი) 17.16; 6. მასაო კამიოკა (იაპონია; სუბარუმ-პრეზენტა) 17.39

პირადი: მაკინენი 18 ქულა; კლინ მაკრეი (პრიტანეთი, სუბარუმ) 13; კარლოს საინი (ესპანეთი, ფორდი) 12; შვარცი 11; პიერო ლიატი (იტალია, სუბარუმ) და კენეთ უორდ (შვედეთი, სუბარუმ) 10; რიჩარდ ბერნი (პრიტანეთი, მიტუბი) და ლუა 6; ...

გუნდური: სუბარუმ 33 ქულა; მიტუბი 26; ფორდი 23

სეზონის პირველი ქვა-ღორღოვანი რალი კორიაში უშუალოდ დაიწყო: შარზანდელ მსოფლიო ჩემპიონ მაკინენს სტრატისწინა შემოქმედების მუხრუკი გაუფუჭეს კვირის სუბერ-ტრაპი მაკრემ და საინმა მოიგეს, მაგრამ შედეგები გაუმეტა.

ორშაბათს მაკრეი ლიდერობდა, მაგრამ VI ეტაპზე ძრავა უმეტესად ბრიტმა მანქანა საკონტროლო პუნქტამდე კი მოაგორა, მაგრამ დაუფიქსირდა და გავარდა.



მაკინენის „მიტუბი“ ერთხანს მეორე მდილოდა

რიტიმარი პორტუგალიდან

ამის შემდეგ დაწინაურდა მისი თანაგუნდელი ერიკ-სონი, ვისაც IX ეტაპზე გაუსწრო მაკინენმა, თუმცა შედეგად ლის ბოლოს 14 წმით მაინც აჯობა ფინელს. საინს, პირველად თავი ზუსტად ამ 10 წლის წინ სწორედ პორტუგალიაში რომ ისახდა, V ეტაპზე სიჩქარით კოლოფი დაუზიანდა და ისიც გავარდა. სამშაბათს მაკინენმა მაგრად შეუბრდა და ლის ბოლო, XXII ეტაპის წინ უკვე 82 წამს უგებდა ერიკსონს. აქ შეეძლო გაუფუჭდა მანქანა და ისიც გავარდა. XVI ეტაპზე იგივე ბედი ეწია ბერნსს. ოთხშაბათს მაკინენს შინსი ხელდგინა აღარ გაუშვა და წელს პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ჩემპიონატის შემდეგი რალი — კატალინიისა 13-16 აპრილს გაიმართება.

იანას ნავროლსა დახედა



იანა ნავროლსა ამკვირსეული ჩვეული პოზა — წოდელდა: მაიოლისთან (ზევით) და ჰინგისთან მატრების შემდეგ

როტიტმარი და ოლსკორტი კი-ბისკეინიდან

ჩხმი იანა ნავროლსა აქამდე იმით იყო ცნობილი, რომ მოკლებული მატრების წაგებას ახერხებდა. ახლა, ასაკის მომატების კვალობაზე დადინჯდა და დროდადრო საარაკო მართათვისაც იკებს.

აი, ახლაც ზედიზედ ორი ღლის მანძილზე ორი სამხელა შეხვედრის გამართვა მოუწია. მართალია, ნავროლსამ ფინალს ვერ უწია, მაგრამ მებრძოლად კი დაასხო-მა თავი ფლორინდელ მაჟორებელს.

ოთხშაბათის მეოთხედინი 2 საათს და 37 წუთს გაგრძელდა. საშინელ ხეტასა და ტენში ნავროლსა 63 უნებური შეცდომა მოუვიდა, მაიოლისა — 62 უნებური და 14 ორმაგი. ერთი სიტყვით, ეგზომ მლიერთა თამაშში ქულათა ორი მესამედი მეტოქის შეცდომის შედეგად იქნა მოპოვებული.

ჩხმი თი-ბრეიქს თავიდან აგებდა, მაგრამ მაინც მოიკრბა ნებისყოფა. ამდენი შეცდომის დამშვებმა მაიოლიმ ერთხელ ხელი თავთან მიიტანა, აქო და ვაფრენო, ნავროლსამ კი სიმწროთ ხელი ველში წაიჭრა.

თამაში იმით დასრულდა, რომ მაიოლიმ ბურთი მოედანს ააცილა. არაუტყველი იანა უკან ხაზთან წამოწვა და თმების შესაბნევი თამასის ქნევას მოუყა მერე ივა მასთან მიტუსკუნდა და ჩაებუტა. აცრემლებული მეტოქეები ხალხმა ტაშით გააცილა.

ნავროლსა გამოტყდა, კორტზე რომ ვიწქე, ღმერთს მადლსა გვირავდი, მეტი რომ აღარ უნდა მერბინო. არადა, შემდეგსვე საღამოს ქალს იგივე გაღადა. მერე ვისთან? — ვისთან და 16 წლის ჰინგისთან, ვინაც წინადილი პირველ ხელს 3:4 აგებდა თავის ამჟამინდელ მეტყველ ფერანდესთან, მაგრამ მერე იოლად მოუგო.

ნავროლსა წინა ორ შეხვედრაში დამარცხებისა ჰინგისი, ვინაც „ლიტონის“ შედეგის მიუხედავად ზეგადან მსოფლიოს პირველი ჩოგანი იქნება. ამჯერად ორსაათიანი თამაში გაჩაღდა, რომ ცხელიდა, გადაწყვეტი ტელის წინ მოახსარებებმა 10-წუთიანი შესვენება ითხოვეს.

მარტანს მან მეტად არგო. გარდა ამისა, გოგოს ერთობ მოუხდა გაფრთხილება, მესამე ხელის პირველი გემის წაგების შემდეგ ჩოგნის მოსროლისთვის რომ

მისცეს ჰინგისი დაწინარდა და თამაში თანდათან გარდატეხა, ნამატრებს კი იხუმრა, ჩოგანი სხვა დროს უფრო შორსაც გადაამგდო.

ამელამ სასატრელი ფინალია: ჰინგისი — სელემი. ჰინგისს წელს გამართული 25-ე მატჩი მოკლებული აქვს. სულს აქამდე ერთადერთს — 1996 წლის ნოემბერში, ოქტემში (კალიფორნია) შეხვედრია და 6:2, 6:0 გაუნდაგურებია.

კი-ბისკეინი (ფლორინდა, აშშ)

ლიტონის ჩემპიონატი

ქალაქი

ბოლო ორი მეოთხედინი. 26.03: მარტინა ჰინგისი (შვედარია, 1) — შერი-ჯო ფერანდესი (აშშ, 10) 6:4, 6:1; იანა ნავროლსა (ჩეხეთი, 3) — ივა მაიოლი (ხორვატია, 8) 6:2, 3:6, 7:6 (9-7) ნახევარფინალში 27.03: მონიკა სელემი (აშშ, 4) — ბარბარა პაულუსი (ავსტრია, 11) 6:1, 6:0; ჰინგისი (1) — ნავროლსა (3) 6:3, 2:6, 6:4

პაქები

მეოთხედინალი. 26.03: ჰიტ სამარასი (აშშ, 1) უთამაშებლად დაწინარდა პენდრო დრეკანი (გერმანია); სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — ანდრეი შედევეცი (უკრაინა) 6:0, 6:3; 27.03: თომას მუსტერი (ავსტრია, 2) — იონას ბიორკანი (შვედეთი) 7:5, 6:2; ჯიმ კური (აშშ) — გორან ივანიშვილი (ხორვატია, 4) 6:2, 7:6 (7-2) ნახევარფინალში 28.03: თამაშობდნენ სამარასი — ბრუგერა და მუსტერი — კური

„სარბიელში“ ეკლემის მონათხეულად დარეკეთ. 95 26 90



Table with sports results under EUROSPORT logo, including tennis and other events.

The 1997 5 Nations logo and text.

ხუთი ერის პირველობა

როდემდე დაინახებენ?

ალსრული 70 წლის თავზე, მე-12 ცდით დაამარცხა საფრანგეთი. ლათინთა გაღმა მოძღვარმა ვერე კოსტმა ისეთი ბურთობა და ჭიდილი ასწავლა აქნინელ ბიჭებს, რომ ამათ თავიდანვე დაზარდეს ხუთი ერის წლევანდელი ჩემპიონი, ერთი მცირე მონაკუთის გარდა კი სულ წინ იყვნენ და ოთხი მშვენიერი ლულოც გაიტანეს.

22.03. გრენოლი

საფრანგეთი 32:40 იტალია

საფრანგეთი: სადური; უივი დელეგი, ბონდო; სანტანდრე; ოკანი; აკოსტერი — ფორუშონი; დელაზი; ტურნერი; მერლი; მიორენი; კოსტი (გვიანი); მეტრიანი; პელუ (პაპ); — 4ლ: საფრ, მონდუი 2, სადური; 3ჯ, 2ლ: ოკანი

იტალია: პერნილე; ვაკარი, ბორდონი, ფრანჩესკატო (მაძაროლი); მარჩ. კუტიტა; დომინგესი, ტრონკოი — მას. კუტიტა, ორლანი, პოპერეტი-კურტი; კორი, კრისტოფოლეტი; ჯოვანელი (პაპ), ზგორლონი, გარდენერი. — 4ლ: ფრანჩესკატო, გარდენერი, კროჩი, ვაკარი; 4ჯ და 4ლ: დომინგესი

დაპოვილით, გააბაო!

რაც ამ ხუთი წლის წინ ახალი წესები შემოვიდა, ჩრდილოეთი ნახევარსფეროს რაგბის მამები ცრემლად დაიღვარნენ, დედოფლები გატანა გაჭირდა და თამაშს ძველი ეზის მთავრობდა. დედოფალი სიმკრის თავიდან თუ კიდევ გუობდნენ, თამაშის გამორევისთვის შემდეგ ხშირი კატასტროფის წინაშე დადგა. მოდა, წელს სასწაულად გარდაიხსნა — ჰემპსტილად დედოფალი-ცვენა მოვიდა.

აქ მოყვანილი მისტორიებიდან ცხადია, რომ რაგბის მამები ტყუოდნენ. ბოლო წლებში საფრანგო დიდი არაფერი იყო. ომის შემდეგ პირველობებზე ბევრად უარესიც მომხდარა და არც ტენდენცია ყოფილა ყოველთვის სასურველი.

1972 წელს ირლანდიამ ორი, საშინაო თამაში ვერ გამართა. პირველობა არ დასრულდა. ამავე არც ცხრილში შეგვიტანია.

რაგბი

ბრიტანული რაგბის „პრავდა“ — ლონდონის „თიმზმა“ არც ახლა დაახანა და რაი ამ სეზონში იტალია ყველა ევროპელ ბოზოლს ეთამაშა, იქვეს ერის პირველობის, ფაქტობრივად კი ევროპის ჩემპიონატის ცხრილიც უმალ გამოაცხო.

Table with columns: ინგლისი, საფრანგეთი, უელსი, იტალია, შოტლანდია, ირლანდია. Rows: მ, თ, ვ, ე, ს, ბ, ლ, ქ.

მასში იტალია უსწრებს ორ ბრიტანულ ქვეყანას, მაგრამ მერე რა: კონსერვატორი ბრიტები ლათინებს ეუბნებიან, 2000 წლამდე ჩვენს წრეში მაინც ვერ მოგვდებო.

თუ რატომ, პირდაპირ არ ამბობენ. ისე, სხვათა შორის შეაპარებენ, ირლანდიას კი მოუგეთ, მაგრამ განა შეძლებთ ამ დონის შენარჩუნებას. ინგლისმაც რომ გაგათახსი-რათ. ჩვენ კი გავისენით, თუ რა დღე დაწაი იმავე ინგლისმა სხვა კუნძულელებს:

Table with columns: ინგლისი, ირლანდია, უელსი, ინგლისი. Rows: (ლ), (0ლ) — ინგლისი 46 (6ლ); უელსი 13 (ლ) — ინგლისი 34 (4ლ)




მერე კიდევ, შინური პირველობა ვერ გივარათო. ნაკრების თამაშებზეც ხალხი ცოტა მოვლდითო. არადა, გრენოლში სტადიონის ნახევარი საზღვრის იქედან გადმო-სულ ტალღეულ ქომაგებს შეეგვით.

„მისეთა მიზეზი მაინც სულ სხვაა. საერთაშორისო რაგბს დღეს იმეორა ფული შემოაქვს, რომ ევროპის დიდ ხუთეულს წილში სხვისი გაყვანა არა სურს. მეტიც, ინგლისი კარმან ისე გასწავლა, რომ ცალკე ტელეკონტრაქტი გააფორმა და ნაქები შეუიბრიდან კინაღამ გაირიცხა.

ლელოთა ფილი

ჯამურ მონაბარგო



1947 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97

სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი

ზურაბ მიქაძე

რედაქტორი

თამაზ მიხრაიული

სარედაქციო კოლეგია:

05:00 ბაბუნაშვილი

პახტაზ ბუბიაძე

ჯაალ გიბინიშვილი

მირაბ რატინიძე

ფეხბურთის განყოფილება:

ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძე,

მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონიხე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:

აკოტიანი გურამიანი, ნინო დევაძე,

ერეკლე კვიციანი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტაჟები:

გურამ დოლუნიშვილი

ბადრი კვიციანი

სტილისტი მათა აბინაძე

კომპიუტერული ცენტრი:

ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე,

სვეტა დევაძე, ვანო კვანაძე, ირმა მშვენირაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი

ბიორბი ოქროშაძელი

გამომცემელი

ზურაბ უციხაძე

დამფუძნებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საჯარო-ცენტრალი ფინანს „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი,

აღ. ყაბჯის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებსა და სხვა საფოსტო გზავნილებსთვის თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.

ტელეფონი: 39 48 29